თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

16. 12. 2022 წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **თინათინ ხანჯალიაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, მარიამ ლილუაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **თამარ ზაზანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის, მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი **გიგა მამუკელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ქეთევან ილაშვილი.** მოქალაქე **მარიამ ხმალაძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა
მომხს. ლ.ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

მოისმინეს:1. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ლევან ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტში გამოვლინდა სამართლებრივი ხასიათის შეცდომები, რაზედაც მერიას ბიუჯეტის ირგვლივ არსებულ სხვა შენიშვნებთან ერთად ეცნობა წერილობით. მერიის მიერ წარმოდგენილ 2023 წლის ბიუჯეტის ახალ პროექტში სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები გათვალისწინებულია და პროექტი უნდა ჩაითვალოს უხარვეზოდ.

გიგი გიგიტელაშვილმა დასვა შეკითხვა თუ რა პრინციპით ხდება ხელფასის ზრდა ცალკეულ აიპებში და ყველაში რატომ არა? ამასთან აღნიშნა, რომ ზოგიერთ ააიპ-ში მომუშავე პირს ხელფასი საარსებო მინიმუმზე დაბალი აქვს, ამიტომ ბიუჯეტის პროექტი სამართლებრივად ხარვეზიანიად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე განმარტა, რომ შენიშვნები აქვს ბიუჯეტის ახალ პროექტთან ვინაიდან უქმდება ზამთრის სეზონზე შეშის შეძენის დაფინანსების პროგრამა სოციალურად დაუცველებისათვის.

ლევან ბერძენაშვილმა **გიგი გიგიტელაშვილს** უპასუხა, რომ შეშის დაფინანსების პროგრამა ჩანაცვლდება დენის და გაზის სუფსიდირების პროგრამით, რომელ საკითხზეც მერიაში მიდის მუშაობა და წარმოდგენილი იქნება პროექტი.

იმედა კევლიშვილმა განაცხადა, რომ არცერთი ბიბლიოთეკა არ არის ღია, ტყუილად იხდის მუნიციპალიტეტი ხელფასებში ფულს და სწორი იქნება მოხდეს მათი ოპტიმიზაცია, თან ხდება ხელფასების მატება.

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი დადებითი რეკომენდაციით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვის მიზნით (მომხრე 5 წევრი).

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს - ბაადურ გულიაშვილმა და გიგი გიგიტელაშვილმა.

საკითხის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა იმედა კევლიშვილმა.

მოისმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

ლევან ბერძენაშვილმა კითხვით მიმართა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს **თამარ ზაზანაშვილს,** იზრდებოდა თუ არა უშტატო თანამშრომელთა რიცხოვნობა?

ბაადურ გულიაშვილმა აღნიშნა, რომ უნდა იყოს დასაბუთება სად წარმოიქმნება საჭიროება დასაქმების, **რატომ** ემატება უშტატო თანამშრომელთა რიცხოვნობა? **რაში ჭირდება მერიას ნებართვა? ბაადურ გულიაშვილს** უპასუხა **ლევან ბერძენაშვილმა,** რომელმაც განმარტა, რომ თუ უშტატო თანამშრომელთა რიცხოვნობა აღემატება საერთო საშტატო რიცხოვნობის 5%-ს საჭიროა საკრებულოს თანხმობა, ამასთან ერთად განუმარტა, რომ მერიასთან ერთად ამ რიცხოვნობაში შედიან საკრებულოს უშტატო თანამშრომლები, რაც ზრდის მათ რაოდენობას.

გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ რაც 2022 წელს იყო განსაზღვრული იგივე რიცხოვნობაზე ითხოვს მერია თანხმობას, **რომ** საჭიროებისას ყოველ ჯერზე საკრებულოს გადაწყვეტილება არ იყოს **საჭირო.**

თამარ ზაზანაშვილმა ლევან ბერძენაშვილს კითხვაზე უპასუხა, რომ მერიაში სულ 14 ადამიანია დასაქმებული ხელშეკრულებით 2022 წელს და 2023 წელსაც ეს რაოდენობა არ იზრდება, თუმცა არის კიდევ საშუალება რომ მერის გადაწყვეტილებით კიდევ დასაქმდეს 4 სპეციალისტი საჭიროების მიხედვით.

ბაადურ გულიაშვილმა მოითხოვა თ.ზაზანაშვილისგან დასაბუთება თუ **რატომ** ითხოვს მერია საჭიროზე მეტ უშტატო ადამიანის დასაქმებაზე თანხმობას, თუ მათი დასაქმების საჭიროება არ არის, **რატომ** 4 და **რატომ** არა 10 განაცხადა მან. **თამარ ზაზანაშვილმა** უპასუხა, **რომ** დასაქმების საკითხს საჭიროების მიხედვით გადაწყვეტს **მუნიციპალიტეტის** მერი.

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს პროექტი დადებითი რეკომენდაციით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვის მიზნით (მომხრე 5 წევრი).

წინააღმდეგები: ბაადურ გულიაშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, იმედა კევლიშვილი.

კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი**